







1) ვანო 8 დღის განმავლობაში ყოველდღიურად ორ გვერდს კითხულობდა. მერვე დღის ბოლოს აღმოჩნდა, რომ მას წიგნის ნახევარი წაუკითხავს.

*პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:*

-  ა) რამდენი დღე კითხულობდა ვანო წიგნს?  
1) 3 დღე                                      2) 8 დღე                                      3) 11 დღე
-  ბ) რამდენ გვერდს კითხულობდა ვანო დღეში?  
1) 2 გვერდს                                      2) 8 გვერდს                                      3) 16 გვერდს
-  გ) რამდენგვერდიანია წიგნი რომელსაც ვანო კითხულობდა?  
1) 8 გვერდიანი                                      2) 16 გვერდიანი                                      3) 32 გვერდიანი




2) ნინომ მეცადინეობა 12 საათსა და 20 წუთზე დაიწყო. იგი 100 წუთის განმავლობაში მეცადინეობდა.

*პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:*

-  ა) რომელ საათზე დაიწყო ნინომ მეცადინეობა?  
1) 12 საათსა და 20 წუთზე                                      2) 13 საათზე                                      3) 13 საათსა და 20 წუთზე
-  ბ) რამდენი წუთის განმავლობაში მეცადინეობდა ნინო?  
1) 60 წუთის                                      2) 100 წუთის                                      3) 120 წუთის
-  გ) რომელ საათზე დაამთავრებდა ნინო მეცადინეობას?  
1) 13 საათზე                                      2) 13 საათსა და 20 წუთზე                                      3) 14 საათზე

3) 2 ქილა მაწონი და 1 ქილა არაჟანი 12 ლარი ღირს. 1 ქილა მაწონი 3 ლარი ღირს.

*პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:*

-  ა) რა ღირს 2 ქილა მაწონი და 1 ქილა არაჟანი ერთად?  
1) 6 ლარი                                      2) 12 ლარი                                      3) 15 ლარი
-  ბ) რა ღირს 2 ქილა მაწონი?  
1) 3 ლარი                                      2) 6 ლარი                                      3) 12 ლარი
-  გ) რა ღირს 2 ქილა არაჟანი?  
1) 3 ლარი                                      2) 9 ლარი                                      3) 12 ლარი

5 4) თუ გამოვიანგარიშებთ ქვემოთ მოცემულ გამოსახულებას, მაშინ რამდენი ერთიანი იქნება პასუხში?

$$1\ 000\ 000 - 90\ 000 - 9\ 000 - 900 - 90 - 9 =$$

- 1) ექვსი                      2) ხუთი                      3) ერთი

7 5) ანას, იას და მარის დაბადების დღეზე სხვადასხვა ფერის კაბები ეცვათ. ერთს ეცვა ყვითელი კაბა, მეორეს ლურჯი, მესამეს კი – წითელი. ცნობილია, რომ იას არ ეცვა არც წითელი და არც ყვითელი კაბა. ასევე ცნობილია, რომ მარის ეცვა ყვითელი კაბა. რა ფერის კაბა ეცვა ანას?

- 1) წითელი                      2) ყვითელი                      3) ლურჯი

8 6) ვანომ, საბამ და ნინიკომ ტყეში სოკოები იპოვეს. ერთმა იპოვა 7 სოკო, მეორემ – 9, მესამემ კი – 12. ვანომ იპოვა ნინიკოზე 3-ით მეტი სოკო. რამდენი სოკო უპოვია საბას?

- 1) 7 სოკო                      2) 9 სოკო                      3) 12 სოკო



1 0 7 7) ნატო და თამაზი ტყუპები არიან. ნატო 6 წლისაა. რისი ტოლი იქნება ნატოსა და თამაზის წლოვანებათა ჯამი 2 წლის შემდეგ?

- 1) თორმეტის                      2) თოთხმეტის                      3) თექვსმეტის

მათემატიკური ოლიმპიადა „ევერესტი“ 12 წლისაა!  
მადლობას გიხდით, რომ ირჩევთ ჩვენს  
ოლიმპიადას!

